

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ფრაქცია „ქართული ოცნება- მწვანეები“-ს თავმჯდომარის მოადგილის

ხათუნა ცერცვაძის 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში

მოგესალმებით ბატონო თავმჯდომარე, კოლეგებო და ძვირფასო ამომრჩევლებო.

იყო ჩემი ოზურგეთელების ხმა თვითმმართველ ორგანოში ეს ჩემთვის დიდი პატივიც არის და დიდი გამოწვევაც. მსურს, განვლილ წელს უფრო კრიტიკული თვალთ შევხედო, ვფიქრობ შემემძლო გამეკეთებინა მეტი, მომავალ წელი კი უფრო მეტ აქტივობებს დაეთმო, რომელიც ჩემი ამომრჩევლების სათქმელს უფრო მკაფიოდ იტყვის, როგორც წარმომადგენლობითი, ასევე აღმასრულებელ ორგანოებში.

ჩემი წლიური ანგარიში მინდა სამადლობელი სიტყვით დავიწყო. პირველ რიგში მადლობა მინდა გადავუხადო მზგ „ქართულ ოცნება- დემოკრატიული საქართველო“- ს გუნდს, რომელმაც ამ დიდი პასუხისმგებლობის ღირსი გამხადა. მე, პროპორციული სიით გახლდით წარდგენილი 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებში. მადლობა მინდა მივუძღვნა ჩემს ამომრჩევლებს, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს და დღეს მე საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას ვასრულებ. მადლობა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ დავით დარჩიას, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ გიორგი ღურჯუმიძეს, რომლებიც მუდმივად მზად არიან მხარი დაუჭირონ ჩემს ყველა ახალ წამოწყებას თუ იდეას. ასვე მადლობა „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს ფრაქციის თავმჯდომარეს ბატონ გენო ჩავლეშვილს და ფრაქციის შემადგენლობას, რომელმაც ნდობა გამომიცხადა და ფრაქციაში თავმჯდომარის მოადგილედ ამირჩიეს, ასევე მადლობის სიტყვებს არ დავიშურებ საკრებულოს აპარატის წევრების მიმართ, რომლებიც მუდმივად მზადყოფნაში არიან დამხმარონ, რათა ჩემი უფლებამოსილება პირნათლად შევასრულო.

წარმომადგენლობითი ორგანოს ფუნქციონირებაში ჩართვა არ იყო ჩემთვის მარტივი, იმ პასუხისმგებლობის გათავალისწინებით, რასაც იმ ადამიანების მიერ მონიჭებული მანდატი მაკისრებს, რომლებთან ერთად მშობლიურ ოზურგეთში ვცხოვრობ.

ჩემი მთავარი საზრუნავი სოციალური საკითხებს ეხება, რადგან მოგეხსენებათ ჩემი წარსული საქმიანობის სფერო სწორედ სოციალური საკითხები იყო. მოგეხსენებათ, მე გახლავართ დამფუძნებელი ორგანიზაციის, რომელიც ჩართულია ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამაში. ასვე გახლავართ მეურვეობა მზრუნველობის რეგიონალური საბჭოს წევრი და ჩემთვის ეს სფერო ძალიან ორგანული გახლავთ. ამიტომაც გავწევრიანდი პირველ რიგში განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში, სადაც ბევრჯერ მომიწია ჩემი მკვეთრად გამოხატული პოზიციის დაფიქსირება.

მონაწილეობა მივიღე შშმ პირთა მშობლების ორგანიზაცია,, ჩვენი შვილები“ -ს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, მათთან ერთად გავიარეთ არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და ერთად დავიწყეთ პრობლემები გადაჭრის გზების ძიება.

ასევე შევხვდი ეთნიკური წარმომავლობის ბოშებს, რომლებსაც არსებული პრობლემებიდან გამოსავალი გზები დავანახე. აღმასრულებელი ორგანოს დახმარებით შევძელით იდენტიფიცირებული პრობლემების დროებით მოგვარება. თუმცა საჭიროა მუდმივი ბრძოლის სურვილი ამ პრობლემების

აღმოსაფხვრელად. მე ისევ მზად ვარ როგორც ამ, ასევე სხვა მიმართულებითაც ვიმუშაო კონკრეტულ ამ ოჯახებთან მიმართებაში.

ასევე ვხდებოდი ემიგრანტ ქალბატონებს. მოგეხსენებათ, მიგრაცია ჩვენს მუნიციპალიტეტში მწვავედ დგას. სწორედ, მათთან ,ასევე ეთნიკურ მესხებთან, ,ფერმერ და ბიზნეს ქალებთან, ახალგაზრდებთან შეხვედრებმა მომცა მოტივაცია მონაწილეობა მიმელო Nეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტისD პროექტში ,, მომავალ ლიდერ ქალთა პროგრამა". ამ პროექტმა სხვა თვალთ დაგვანახა ქალების საჭიროება, დავიწყეთ უფექტური გზების ძიება, ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით და ჩემს კოლეგა ქალბატონებთან ერთად მოვიძიეთ ნორვეგის სამეფოს და ,,ათეას დახმარებით უცხოური გრანტი, რომელიც სწორედ ამ მიმართულებით იმუშავებს. დასაწყისისთვის მოვაწყვეთ ,,ბიზნესმენ ქალთა ფორუმი" ,სამომავლო განვითარების მიზნით, შეიქმნა პლატფორმა სახელად ,,ქალები გურიისთვის",პლატფორმის მიზანი კი ქალების და გურიის ეკონომიკური გაძლიერებაა.ამ ორგანიზაციის მიერ მოძიებული იქნა პროექტები რომლის მეშვეობითაც გაძლიერდება. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში იგეგმება მუნიციპალიტეტის მიერ მცირე გრანტის გაცემაც. ეს ის შემთხვევაა, როცა პროექტის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობასთან თანამშრომლობითა და ერთობლივი მიზნით, ეკონომიკური სეგმენტის გაძლიერება ხდება.

ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ გარდა აღნიშნულისა ვმონაწილეობდი NDerovnuli demokratiuli institutis ეგიდით ჩატარებულ სხვა ტრენინგებში, ჩავერთე ბიუჯეტის ფორმირების ,გენდერული ბიუჯეტის დაგეგმვის და მედიასთან ურთიერთობის სალექციო კურსებში, , რაც ძალიან სასარგებლო იყო და გამოვიყენეთ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესში.

-მონაწილეობას ვღებულობდი ოზურგეთის მყარი ნარჩენების გეგმის გენდერული გავლენის ანალიზის კვლევაში.

-ასევე ჩართული ვიყავი სამუშაო ჯგუფში ეთიკის კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც სამწუხაროდ დროებით შეფერხდა, თუმცა მიმდინარე წელსაც ასევე აქტიურად შეუდგებით ამ საკითხზე მუშაობას.

-გასულ წელს ჩემი და ჩემი კოლეგების ინიციატივით , ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერით. ბავშვთა დაცვის დღეს მოვიწვიეთ სოციალურად დაუცველი ბავშვები საკრებულოს სხდომათა დარბაზში, რომლებსაც გადავეცით სამახსოვრო საჩუქრები, ასევე მნიშვნელოვანი იყო ეს დღე იმითაც, რომ ამ დღეს სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და საკრებულოს წევრების შვილების დამეგობრებას ჩაეყარა საფუძველი. მას შემდეგ ადგილობრივ ბიზნესთან თანამშრომლობით არაერთი კეთილი საქმე გავაკეთეთ, რომლის ჩამოთვლას აქ მოვყვები, რადგან დრო ამის საშუალებას არ მომცემს.

-ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ გასვლითი შეხვედრები მქონდა ახალგაზრდებთან და სამომავლოდ ვგეგმავ, კოლეგებთან ერთად, ახალგაზრდული საკრებულოს დარბაზის შექმნას, სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ მომავალში ლეგიტიმური საკრებულოს წევრები გახდნენ .

-გასვლითი შეხვედრები მქონდა კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან და მათი რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციისათვის გზების ძიებაში მივიღე მონაწილეობა.

-გასვლითი შეხვედრები მქონდა სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბენეფიციარების ოჯახებთან .

-არაერთ საგანმანათლებლო აქციას ვხელმძღვანელობდი, აქციების მიზანი იყო მოზარდებში ცნობიერების ამაღლება, გარემოს დაცვასთან მიმართებაში, მწვანე ნარგავების გამრავლების მიზნით, ასევე მოზარდებთან ერთად დასუფთავების აქციაში ვმონაწილეობდი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვახორციელებდი საკრებულოს 2 მუდმივმოქმედ კომისიაში; განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში, აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიაში.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების თავჯდომარის მოადგილე და თავჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ვასრულებ მის მოვალეობას. გარკვეული პერიოდი გახლდით აღნიშნული ფრაქციის თავმჯდომარეც., ვარ „გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

-მონაწილეობა მივიღე საკრებულოს მორიგ 12, რიგგარეშე 6, ბიუროს 4 , კომისიების 43 და ფრაქცია „ ქართული ოცნება-მწვანეები“-ს 10 სხდომებში.

-აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს მიერ მისაღებ სამართლებრივ აქტების განხილვა-დამტკიცებაში კერძოდ:

- 2019 წლის ბიუჯეტის განხილვა დამტკიცებაში.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის დებულების

. - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესის დებულების.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ დებულების.

- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულების.

- სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დებულების.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და დაჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დებულების

- ასევე ვიყავი გერბისა და დროშის დროებითი კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის სხდომაზე აქტიურად ვიყავი ჩართული 2019 წლის ბიუჯეტის განხილვა დამტკიცებაში, რომელიც ფრაქციის მიერ შენიშვნებით დაუბრუნდა მერს კანონით დადგენილ ვადებში. უმეტესი შენიშვნები მერიის მიერ იქნა გათვალისწინებული. აგრეთვე აქტიურად ვიყავი ჩართული სხვადასხვა პროექტების მომზადება დამტკიცებაში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან სანაპიროზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოლის წესების პროექტის მომზადებაში;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების - ძაღლის და კატის ყოლის წესის პროექტის დაზუსტებაში;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლი, კატა, და სხვა კომპანიონი ცხოველები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის“- პროექტზე შენიშვნების და რეკომენდაციების შემუშავებაში.

2019 წლის გეგმებს, რაც შეეხება თამამად ვიტყვი , რომ ერთი წლის განმავლობაში ამ საქმიანობაში გამოცდილება მეტი დამიგროვდა, ამას დაემატა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებით კვალიფიკაციის ამაღლება. ყოველივე ეს მაძლევს საშუალებას, მიმდინარე წელს უფრო აქტიურად ჩავეება საკრებულოს მუშაობაში და მეტი ეფექტურობით განვახორციელო ფრაქციული და უშუალოდ როგორც საკრებულოს წევრის საქმიანობა.

ასევე გავაგრძელებ გასულ წელს, დაწყებულ პროექტებზე მუშაობას, რომელიც ეხება გარემოს დაცვას, გამწვანებას და გადაშენებული კოლხური ბზის, ასევე მწვანე ნარგავების გამრავლებას, შემოქმედებითი ზებრა ხაზების გაჩენას ოზურგეთის სინამდვილეში -საგზაო ნიშნების პოპულარიზაციის მიზნით , ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას, მიგრაციის შეჩერებაზე ზრუნვას, ეთნიკური ნიშნით გამორჩეული ქალების გაძლიერებას, სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ბენეფიციარების გასაძლიერებელი პროექტების დაგეგმვას, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბენეფიციარების ოჯახების გაძლიერებას, ახალგაზრდების გააქტიურებას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში. გუნდთან ერთად ჩავერთვები ყველა იმ მნიშვნელოვან წამოწყებაში, რომელიც ოზურგეთის ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს. ეკონომიური გაძლიერება და განვითარება, დღეს, ჩვენი ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია, რომელიც ჩვენი ოზურგეთიდან უნდა დავიწყოთ.

საკრებულოს წევრი ფრაქცია „ქართული ოცნება- მწვანეები“-ს

თავმჯდომარის მოადგილე ხათუნა ცერცვაძე

2 თებერვალი 2019 წ.